



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ASSEMBLY MUNICIPALITY OF GARDABANI



განკარგულება:გ-19. 19250595

თარიღი:28/02/2025

განკარგულება №17

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოებში
სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ავტომობილების
გამოყენებისა და მათი შენახვის ხარჯების მოწესრიგების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანების საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის თანამდებობის პირების, სტრუქტურული ერთეულებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც პირად, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ავტომობილები.

მუხლი 2

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის საწვავის ხარჯების ლიმიტი განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - განკარგულების შესაბამისად;
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, სტრუქტურული ერთეულებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეთათვის საწვავის ლიმიტი განისაზღვროს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 3

1. ავტომანქანების საწვავით უზრუნველყოფა განხორციელდეს აგაის სისტემის

- საშუალებით შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში;
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაცია, დამონტაჟებული საწვავის აგაის სისტემის მთლიანობის შემოწმების მიზნით;
 3. საწვავის ჩამოწერა განხორციელდეს ყოველთვიურად, დანართი №1-ის მიხედვით.

მუხლი 4

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. რუსთავი ბოსტანქალაქის ქუჩა №6 „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

